

85
1915

F



№ 6

15 თებერვალი, 1915 წ.

საზოგადოებრივი

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

≡ 5 მან. ≡

ყოველ კვირული საზოგადო. მოღონ.

ცალკე ნომერი 10 კაპ.


მიური და სალიბერატურო შუხნალი

რედაქცია ლიან 9-3 საათამდე.

წელიწადი მეოთხე

მისამართი: თბილისი, გაბაევსკი ქუჩ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

- ს ა რ ჩ მ ვ ი:
1. რუს თებერვალი როგორც ისტორიული დღე. — დ. კახრიძისა.
 2. სამხრეთის საფრთხე. — ს. კ. სი.
 3. აკაკის დასაფლავების დღეს წარმოთქმული სიტყვები.
 4. სამგლოვიარო დეპეშები.
 5. აკაკის დასაფლავებაზე (დექსი). — მკვდელი შვილისა.
 6. სხვა და სხვა ამბები.
 7. რუსული მრესა სომეხთა სკოთხის გამო.
 8. გიორგი და გეორგი (ამბავი დიდილოვად).
 9. მელანიასი.
 9. რუს ს.ზ. და სომხ. დამოკიდებულება.



ინგლისელთა მოტორებიანი პროექტორი.

საქმის ხანა

რვა თებერვალი როგორც ისტორიული დღე



ჭეშმარიტად, იშვიათი ფურცელი აღიბეჭდა ჩვენს ისტორიაში! ერი დაძაბუნებული, ერი დაქსაქსული, ერი ყველას მიერ ხელწამოკრული და დაბეჩავებული მხოლოდ ამ დღეს იღვიძებს, მხოლოდ ამ ისტორიულ მომენტში ჰგრძნობს თავის დიად ძალღონეს, მხოლოდ დიდებულ ქურუმთან გამოსაღმების დღეს პლახავს სიობლეს, ენდობა თავის თავს და აშკარად აჩვენებს ყველას თუ რა ძალაა, ძალა დაუთრგუნველი და ამაყი, ძალა შემოქმედი, ბედის მჭედელი ჩვენს ერში! დიახ, ყოველსულიურ წვრილმანობას, პარტიულ ენიანობას, პროვინციალურ გაუგებრობას თუ ცრუ კოსმოპოლიტურ მისწრაფებას მოელო ბოლო: ყველამ ქართველ დ იგრძნო თავი, ამერ-იმერნი, ამაყ მთის შვილნი თუ შორს, მოწყვეტილი ჩვენი ღვიძლი ძმები—მაჰმადიანი ქართველობა კვლავ მჭიდრო რგოლებით გადაებნენ, როგორც მხედრები, როგორც ძველი საქართველოს ლაყვარდ გუმბათის დამკავებელი დედა-ბოძნი, რომელთა სიკისკასის სხივოსნობა შარავანდედად ევლება იმ აღთქმის კიდობანს, სადაც ძვირფას მარმარილოს დაფაზე მიცვლილ ქურუმის ხელთ-უქნარი კალმით დაწერილია სამარადისო წინასწარმეტყველება: „არ მომკვდარა!...“

ეს სასიხმრო სანახაობა, ეს სანუკვარი გაერთიანება, როგორც ძალა დამთრგუნველი უბეში ძალისა, მალაღის ხმით გვიკარნახებდა, რომ არ შეგვეწყვიტნა ერთ-ერთთან მიმოსვლის კავშირი, რომ იქ, სადაც ასეთი მიმოსვლაა—შეხვედრაც იქმნება; სადაც ესმია ერთმანეთისა—იქ კიდევ ერთ-ერთს იბოვნიან; სადაც სიყვარულია—იქ ერთად სვლა შეიძლება; ხოლო საცა ერთად სვლაა—იქ დაბრკოლება გადალახულ იქმნება; შორეული დაახლოვდება, გაუგებრობა მოისპობა და განმტკიცებულ ერთობის შექმენარ სარბიელზე წარმოიშობება ახალი თაობა, ახალი მხედრობა ქალარა მშობლის დასაცველად, ასაყვავებლად!

ამ დიადი მომენტით წარმოშობილი ახალი ხანის ციხროვნება შორს ელვის რახტით გადიტყორცნა! ათასთა და ათიათასთა პროცესიაში მოხდევებულ ქართველთა ტალღას მიესალმუნენ შორეულნიც, უცხო ტონებიც. სამგლოვიარო ვარსკვლავის გამობრწყინება ჩვენი სიონის თავზე აღმოა-

სავლეთის ხალხმა თავისებურად ახსნეს, თავის მოგვები გამოგზავნეს და დიდებული ცხედრის წინ იწინასწარმეტყველეს ძმოძი'ა და ერთობის განმტკიცება, მომავლის მშვიდობიანობის ღზრუნველყოფილება! ზღაპარი იქცა სინამდვილედ... თვითეული სკდილობდა გამოთხოვების დროს დავერწმუნებინეთ ერთგულობაში, გულწრფელი სიტყვები თავის თავად მოჩუბჩუბებდა, სიამის ქრუანტელ დავლილს თვალზე მადლობის ცრემლებს გვგვრიდა, რომ სიკვდილის საიდუმლოება ასე სანუკვარად დაგვირგვინდა და ახალ არსებობის სარბიელზე დაგვანახვა, თუ როგორ შეიძლება „თანხმობით ცხოვრება“, თანხმობით მძიმე ცხოვრების უღლის წვეა...

მაგრამ აი, გათავდა საღმობანი... ხალხი დაიძრა... ნელა, გაქიმულ სამგლოვიარო პროცესიას მზე ვარდს დაუფენს... ჰიმნსა გალობს... აი, შეუდგა წმიდა მთის კალთებს... ახლოა ეამი... ეამი სამარადისო გამოთხოვებისა... ხავს მოკიდებული კლდოვანი კალიები იცინიან... ეტრფიან, ჩქარა გულში ჩაიკრან ის, ვინც „განთიადის“ საგალობელს გუნდრუკად აკმევდა, ციურ სამსხვერპლოზე ასაზიდად! თვალწინ იშლება სხვა ქვეყანა... სხვა არსებობის სარბიელი... აჰა, მზე უკანასკნელად ჩანათებს საფლავის ბნელში, შარავანდედად მოველება ჩაშვებულ ცხედარს... ინთება კოკონი სიკვდილის საიდუმლოებისა... უკანასკნელი სიტყვები... უკანასკნელი ცრემლის აყვავილება... ცოტაც და აჰა... ძვირფასი ფერფლი იფარება სამარადისოდ!

მაგრამ აქ მოხდა საოცრება. თვითეული ქირისუფალი ერთგვარის აღტაცებით ბრუნდება... ნახულით გაბრუებული სიხმარში გრძნოს თავსა... თითქოს გრძნობს, რომ ქურუმის დაშორებით იშვა ვილაც უცნობი... შორეული მესსია... მესსია სრულის შეგნებისა, მესსია უაღრესი გათვითცნობიერებისა, რომელიც აღგვზრდის, პოლიტიკურად მოგვამზადებს, გარდაგვქმნის სრულსა და საღს ორგანიზმად, რომ დადგება ოქროს ხანა ახალ ცხოვრებისა, ახალ ისტორიის დასაწყისისა, აღფრთოვანებული იმედებისა, რომ ერთის საგალობელით, ერთის ჰანგით იმღეროდეს უკუნითი უკუნისამდე მიცვლილ ქურუმის გულში შობილი და აღზრდილი ქართველი ერი!

დ. კასრაძე.

სომხეთის საფრთხე

II

სომხეთი და რუსეთი მოკავშირეებია, თურმე ამას გვასწავლის სომეხთა ადგილობრივი რუსული გაზეთი.*) საცა ბაშბა ჩხრიალებს, იქ ნურც მალალი ტონი გაგვაოცებს. ღმერთმა გვაშოროს, სომეხთა ამ ახალ გაზეთს დაესწამოთ ნამდვილი ვითარების უცოდინარობა. ისედაც საბუთი გვაქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენი სურვილია გაზეთის პიტალო სიტყვას გულხალვათად მივენდოთ და ვიწამოთ „კავშირის“ სინამდვილე.

ამ ხიფათიან დროში, ვერც ცნობის მოყვარეობას ავედევნებით და არც ჩვენი საქმეა ვიძიოთ, თუ რას გამოეღიან „კავშირისა“ ამისაგან სომხის ხალხის მესვეურები. ეს მათი პირადი საქმეა.

სამაგიეროდ, ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა გამოვიცნოთ, თუ რა მოვლის საქართველოს ამ ახალ მოვლენისაგან. ეს კი აუცილებელს ჰყოფს, გავითვალისწინოთ ისტორიული ხასიათი და გარდუვალი მიდრეკილება თითოეული მომქმედი მოკავშირისა, გავიხსენოთ თითოეულის წარსული საქამიანობა. ჯერ ესა: მოკავშირეთაგან, ერთი მოკლებულია იურიდიულ პიროვნებას; მრავალი ასი წელიწადია, რაც მან დაჰკარგა დამოუკიდებლობა, რაც მას ტერიტორიული მთლიანობა ხელიდან წაუვიდა; დაერღვა სამშობლო კერა და სხვა და სხვა მხარეს მოედო. ეს—სომხობაა, ერი უსახელმწიფო.

მეორე—სრული იურიდიული პიროვნებაა. ძლიერი სახელმწიფო, მპყრობელი მრავალი ერისა. ეგ—დიდი რუსეთია.

ამ დიდი ისტორიული უბედურობის დასაბამიდან, დაძრული სომხის ხალხი ცოტ-ცოტათი და ნელინელ სადმე უნდა დალაგებულ, დამკვიდრებულიყო. საკუთარ სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ზრუნველობას ჩამოშორებული, იქ დაიდებდა ბინას სადაც უკეთ იცხოვრებდა. პირველი რაზმები, რასაკვირველია გეოგრაფიულად მებოძელ ქვეყნებს უნდა წვეოდა. ამ მხრით საქართველო ბუნებით პირველი სასვენნი ადგილი იყო.

და თუ შესაძლებელია მოტივი პირველი ჩამოსულებისა სრულიად უმანკო ყოფილიყო, უპრეტენზიო, პირდაპირ ზოოლოგიური სიცოცხლის შენარჩუნება და სხვა არაფერი, შემდეგ და შემდეგ, რა ფეხი მოიმაგრა და წელი გაისწორა, მოსული სომ-

ხობა უფრო მალალ აზროვნების სფეროში გადადის. რაც პირველ გაჭირვებისა და საპარსებო მოთხოვნილების დაუკმაყოფილებლობის დროს მას ფიქრადაც არ მოსდიოდა, ამ საქირვების მოშუშების შემდეგ, მის აზრ-გონების საგნად გადაიქცა. იგი თხზავს ეროვნულ პოლიტიკას, იმუშავებს სისტემას, ადგენს გეგმისა დამიხე დვით ეროვნული მომავლის ინტერესისა, იგი აწარმოებს ყოველდღიურ საქმიანობას.

მთელი ამ პროცესის დასაწყისი მარხია ისტორიულ იძულებაში. ბედის სიმუხთლემ, ან ნაკლებად პოეტურ თქმით, გარემოებათა ლოლიკამ, სომხობა ამ გზაზედ დააყენა. დაწყებული პროცესის განვითარება-კი აუცილებელი შედეგი იყო იმ ბუნებრივ ზრდისა, რომელსაც დაადგა საქართველოს მიწის შუაგულში ახლად ფესვებ ჩაყრილი ნაწილი სომხის ეროვნული სხეულისა. ამგვარად სხვაგან დამკვიდრება, უცხოთა შორის საკუთარ ბინის მოპოვება. სხვისი ეროვნული ერთფერიანობის დაშლა, დარღვევა, — გადაიქცა სომხის ერის ისტორიულ ხასიათად და გარდუვალ მიდრეკილებად. *c'était plus ort quelui!*

ეროვნულ თვითგანმტკიცების ინსტიქტმა მსახურად გაიხადა ამიერიდან გულ-გონება სომხისა, რომელიც უკვე შეგნებულად შეუდგა ახალი სამშობლოს შექმნას. სომეხთა ცხოვრებაში დადგა მკათიოდ ჩამოყალიბებული ფსიხოლოგიური ვითარება. ასეთ დროს მოკავშირის გაჩენა და გამოძებნა — ლოლიკის ანია, ხოლო მოქმედების — პირველი საქმე

დიდი ლოლინი და ძებნა საქირო არ იყო, თავისი დანიშნულების შეუპოვრათ ამსრულებელი, რუსეთის სახელმწიფოებრივი პრინციპი უდიდეს და უმტკიცეს მოკავშირედ გამოადგებოდა ამ საქმეში. საქართველოს წიაღზედ უნებლიეთ უნდა შეკრულიყო ეს ორთა კავშირი. განგებამ ასე ინება. განგებამ აგრედვე ისიც ინება, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივი სუვერენობის სარბიელი გასცილებოდა რუსის ხალხის ბინადრობის ფარგალს- სახელმწიფოებრივი სუვერენობა განმამტკიცებელია და შემომქმედი მხოლოდ იმ ერის ცხოვრებისთვის, რომელსაც იგი წარმოუშვია. იგი, აგრე ვსთქვათ, დირექტივაა, უმაღლესი ბრძანება მისი შემომღები ერი თვით-განმტკიცების და თვით-დაწინაურების უდრეკი ნების ყოფისა. სახელმწ. სუვერენობის თეორია და პრაქტიკა სპეციფიურია, როგორც სპეციფიურია ერი, ამ სუვერენობის შემქმნელი. იგი ჩამოყალიბე-

*) იხ. „Кавказское слово № 21“.

ბულია მისი ერის სულსა და გულზე. და აზირომ თავის ხასიათით იგი ვერ იგუებს, ვერ შეითვისტომებს სხვა ერის სულსა და გულს.

წინააღმდეგი კი—იქნებოდა თავის თავის უარსყოფა. და ასეთ აბსურდამდე სუვერენულ ხელმწიფებს ვერც პრინციპი ლობიერებისა მიიყვანს, და ვერც გრძნობა შებრალებსა. და რუსეთის სახელმწიფო სუვერენობაც, თავისი raison d'être-ის ურყევი გამანამდვილებელი, საცა კი მიდიოდა, თავის ერთადერთ კერპს ემსახურება და სხვას იგი ვერც იცნობდა! იდეალური ყოფა სახელმწიფო ორგანიზაციისა: ერთხელმწიფეობა ერთერობაში, რუსეთის ისტორიის მსვლელობამ ასე შესცვალა: ერთხელმწიფეობა მრავალ ერობაში. ასეთ ვითარებაში რუსეთის სახელმწიფო სუვერენობას, თავის თავის ერთგულს, უნდა ეზრუნა მთავარი ერის ნებისყოფისა და სახის გაბატონების შესახებ სხვა ერზედ. რაც უფრო მკაცრი და აბსოლიუტური იქნებოდა ეს ზრუნვა, ე. ი. რაც უფრო მეტი გამომთქმელი იქნებოდა თავისი raison d'être-ისა სახელ. სუვერენობა, მით უფრო აბსოლიუტურად უნდა დაერღვია და დაეგლიჯა მას ხსენული სხვა ერისა. შემომქმედი თავის ერის ფარგალში, განადგურების თესლს ატარებს თვის საშოში ყოველი სახელმწიფოებრივი სუვერენობა, რომელიც კი შეიჭრება სხვა ერის სხეულში. ეს მისი ბუნების ლოდიკაა, მისი ორგანიული ხასიათია და გარდუვალი მიდრეკილება.

ამ საერთო ნიადაგზედ შეხვდები საქართველოში, ერთი მხრით სომხეთი, დაშლილი, გაბნეული, უსახელმწიფო ერი და მეორეს მხრით რუსეთი — ძლიერი და მტკიცედ შემოჭედილი სახელმწიფო. მათ და ნების გარეშე დაკისრებულმა მისიამ და ხასიათის იგივეობამ გასდო მათ შორის, ის კავშირი, რომლის შესახებაც სწერდა თბილისში ახალდამოცემული სომეხთა რუსული ორგანო.

ს. კ.



აკაკის დასაფლავების დღეს წარმოთქმული სიტყვები

აკაკის დასაფლავების დღეს მრავალი ფრიად საგულისხმეო სიტყვა წარმოითქვა. სანიმუშოდ მოგვყავს ზოგიერთი პოლიტიკური ხასიათის სიტყვა:

ქუთაისის ქალაქის მოურავი ჩიქოვანი. საქართველოს დიდების და დამცირების მომსწრეო, ჩვენო სათაყვანო თბილისო! ამ დიდი ეროვნულ გლოვის დღეს ქალაქი ქუთაისი საქართველოს ყველა ქალაქთან, მთელ საქართველოსთან ერთად გიძღვნის შენ უმდაბლეს საღაშს და გილოცავს ბედნიერებას..

ბედნიერი ხარ მით, რომ მადლიერმა ქართველმა ერმა არ დაიშურა და ძღვნად მოგართვა, რაც გააჩნდა ქვეყანაზე უძვირფასესი; მოგართვა თავისი სასოება—შვილი, ეროვნული დიდება. გადავლახეთ დიდი მანძილი და შუაგულ იმერეთიდან აქ მოგისვენეთ ხალხის საღმერთებელი, საყვარელი მგოსანი.

ყველა ქალაქს ჰშურს დღეს შენი ბედი... ვერ დავფარავ, — ქუთაისის მოქალაქეთა საიდუმლო ზრახვას. მათ გულწრფელს სურვილს შეადგენდა, რომ აკაკის ძვირფასი საფლავი ქუთაისს ჰქონოდა სანუგეშოდ და სასახლოდ დიდებულ ბაგრატის ტაძრის ნანგრევების სიახლოვეს. აკაკის სიყვარული ქუთაისისადმი განსხვავებული იყო და რა გასაკვირია, რომ ქუთაისსაც აკაკი მარტო თავისად მიაჩნდა!

მ.გრამ შენ, ბედნიერო თბილისო, ძველთაგანვე მთელ საქართველოს გულად, დიდ აკლდამად, ეროვნულ პანთეონად მიჩნეულო, მხოლოდ შენი მიწა, შენი მთაწმინდის მიწა დაიტევს დიდი მგოსნის ზღვა გულს, მამულისადმი უმაღლეს ტრფობით აღგზნებულს გულს, ისე, როგორც დაიტია დიდი ილია ჭავჭავაძის და დიმიტრი ყიფიანის გული...

შენსავით აბა ვინ ჩიხუტებს გულში და ნამდვილ დედასავით ვინ მოუვლის საშვილიშვილო სამარეს!

ქუთაისის სიამაყევ, ბაგრატის ტაძარო, უტყვო მოწმევ საქართველოს ძლიერებისა და ქველობისა! აღსრულდა ქართველი ერის ნება: მთაწმინდამ უნდა მიიბაროს დღეს შენი სათაყვანო აკაკი. ერის ნების წინაშე შენც უნდა მოიხარო შენი მაღალი ქედი...

„სავარდო და სამაისო“ ქუთაისი თუ სიცოცხლეში არ იშურებდა და ვარდსა და იას უფენდა ფეხქვეშ საყვარელს მგოსანს, სიკვდილის შემდეგაც არ მოაკლებს, გამოუგზავნის მას საუცხოვო ქუთათურს თაიგულებს.

ნეტავ რას გვიმზადებს, საით მივყვართ შევბედს? უღვთო იყო ილია ჭავჭავაძის, იმ დიდი კაცის სიკვდილი! აღშფოთებული ქართველის გული

ვერაოდეს ვერ შეურიგდება ილიას დაკარგვას. დიდი დანაკლისით დატანჯული ქართველი მხოლოდ მით ინუგეშებდა თავს, რომ ცოცხალთა შორის ეგულებოდა მეორე დიდი ქვეყნის მოამაგე — აკაკი წერეთელი.

რა დაჰკარგა ჩვენმა ქვეყანამ? რა იყო მისთვის აკაკი წერეთელი?

საზოგადო ურწმუნობის, სასოწარკვეთილების, გულგატეხილობის დროს აკაკის ციურმა ჰანგებმა გაგვიტბო, გაგვინათლა გული, აგვიძგერა იგი უმაღლესის ეროვნულის გრძნობით, სამუდამოდ შეგვაყვარა ჩვენი სულთმობძრავი სამშობლო, ჩვენი ბედშავი ერი.

აკაკი იყო ის შეუბოვარი, უშიშარი გმირი განახლებულის საქართველოსი, რომელმაც ხმამაღლა ამცნო ქვეყანას მკვდრეთით აღდგომა, უკვდავება საქართველოსი.

ბედკრულო ქართველო ერო, მიმოიხედე ირგვლივ მოიგონე ერთს წამს ის შავი დღე, საქართველოს რომ გაუთენდა, აი, აქ, თბილისში, კრწანისის ბაღებთან...

შენ, სასოწარკვეთილს, დამცირებულს, გეგონა, რომ კრწანისის დამარცხებამ სამუდამოდ გადასწყვიტა საქართველოს ბედი...

შენ კი არა, თვით ირაკლის, ამ გულ-გაუტეხელს გმირს მეფეს, ამ გულმხურვალე მამულიშვილს, საქართველოს ბედი იმ დღეს გადაწყვეტილად მიაჩნდა.

გახსოვს შენ, ქართველო ერო, ის საშინელი წამი: კრწანისის ომის წაგების დღეს სასოწარკვეთილებამდის მისული ირაკლი, იქ, ავლაბრის ხიდთან ცხენიდან რომ გადმოხტა და სასიკვდილოდ დამხა-


დებული წმინდა ესტატეს ნაწილებისა კენ იშვერდა ხელებს და უკანასკნელად ავედრებდა მათ თავის ბედშავს სამშობლოს?

მაგრამ, არა, არ გამართლდა კრწანისის უშიშარი კრწანისის დამარცხებამ და დამარცხდა, ვერ მოჰკლა ერის სული. კრწანისის გმირთა საფლავებიდან იმ დღესვე გარკვევით გაისმა სანეტარო ხმა: — შეუძლებელია მოკვდინება უკვდავ ეროვნულ სული-საო!

ქართველებო, კრწანისის გმირთა ძელებზე უკვე აღმოცენდა და გაიხარდა ახალი რაზმი ქართველ გმირთა. გწამდეთ, რომ ეს რაზმი ზვაფივით დაიძვრის და მეხად მოველინება უსამართლობის და თავისუფლების მოსისხლე მტერთა! („ახ. ახ.“)

ალი მარდან-ბეგ-თოფჩიბაში. მეზობელო ქართველებო! იმ წუთიდანვე, რა წამს გაისმა საბედისწერო გლოვის ხარი, რომ გარდაიცვალა კეკელუც საქართველოს დიდებული მგოსანიო! შავი ზღვიდან გურგენის ნაპირებამდე იელსაგით მოედო ეს ხმა, ამიერ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებნი მაჰმადიანები საკულტურო-განძანათლებელ და საქველმოქმედო დაწესებულებათა სახით, ბაქოდან, განჯიდან, თბილისიდან, ერევნიდან თუ სხვა ქალაქებიდან უღრმეს თანაგრძნობით იზიარებენ ჭაღარა მეზობელ საქართველოს ეროვნულ მწუხარებას, რომელიც დიდ მეფანტურე აკაკის დაკარგვამ გამოიწვია მასში!

როგორც მთელი ქართველი ერი, ეროვნულ კაეშნით დაზრდული თავის საუკეთესო იდეალების მატარებლის დაკარგვის გამო სწუხს და დღეს ჰგოდებს, ისე მაჰმადიანებმა, გაიგეს თუ არა მგოსნის



საპოზიციო პროექტორი.

დაკარგვის ამბავი, იგრძნეს, რომ 26 იანვარს დასავლეთ ამიერ კავკასიაში მოხდა რაღაც აღსანიშნავი დიდებული ამბავი, რომელმაც სტიქიური სახით დაჰბერა მთელს მხარეს, ყინვით მოჰსუსხა არე-მარე, მწუხარებით შეჰკრა, შეჰბოჭა და მწველი ცრემლი ჩამოეყანა ყველას ლაწვებზე!

ასეთ შემთხვევაში მეგობრულ ხელის გაწოდება, თუნდა მცირედი სანუგეშო სიტყვაც კი, რომ საზოგადო მწუხარებაში თანაგრძნობა და მონაწილეობა მივიღოთ, უწმინდესი მოვალეობაა ჩვენი, რასაც გვიკარნახებს ჩვენი ურთიერთისადმი კეთილი დამოკიდებულება, მთელ საუკუნით განმტკიცებული მეზობლობა და სიყვარული.

ჩვენ ვამაყობთ და დიდად ვაფასებთ კიდევ ამ დამოკიდებულებას, ვინაიდან ჩვენ, მაჰმადიანობამ, კარგად გაიგეთ და ვუწყით კიდევ, რომ მეზობელ ქართველებში ჩვენ გვაქვს საქმე რაინდ და კეთილშობილ ხალხთან, რომლის სამარადისო დევიზი იყო „იცოცხლე და მიეც სხვასაც სიცოცხლის უფლება!..“

ეს უდიდესი და ბრძნული დასაწყისი ყოველ საკაცობრაო ცხოვრებისა, რომელსაც გულწრფელად ეწევიან ქართველები, იწვევს ჩვენში, მაჰმადიანთა მხრით, გულწრფელ თანაგრძნობას და კეთილგანწყობილებას, მომავალ თაობის საბედნიეროდ და საკეთილოდ...

მე მსურს დავამოწმო აქ, ყველასათვის ძვირფას, დიდებულ ქართველის კუბოსთან, რომ ფრიად გულწრფელი და სპეტაკია ეს ჩვენი გრძნობა, მწამს, რომ ამ ამბით განიხარებს თვით მგოსნის სიტყვაც. განა ეს შენ არ ხარ, ბრძენო მკითხავო და წინასწარის გამჰკრეტო დიდებულო მგოსანო, რომელიც ტკბილ საგალობელთა დამღერებით ამოწმებდი შენს სამშობლოს აღორძინებას და ამისთვის მოუწოდებდი ყველა ხალხს თანხმობისა, სიყვარულისა და ერთობისაკენ! „ხან ცის ხან მიწინ ანარეკლი“ შენ, მგრძნობიერი, ჯადოსნურ სულით განსჰკრეტდი მთელი არსებით შენს საყვარელ სამშობლოს ბედნიერებას, მშვიდობის დღესასწაულს და ერთა გაერთიანების სხივოსნობას! მაშ დაე, ამიერიდან ამ უკანასკნელთა შორის ცხოველი სახით იფრინოს შენმა შარავანდედით მოსიღმა სახემ, რათა მარად ეამს მოაგონოს ის დიდებული იდეები, რასაც შენ ჰქადაგებდი მთელი ნახევარ საუკუნის განმავლობაში შენს დიად მებუკის ასპარეზზე, საურთიერთო სიყვარულისა და ერთა თანხმობის განსამტკიცებლად! შენ იყავ კეშმარიტი მოციქული ამ სასუქვარ იდე-

ებისა, რაც რომ ძვირფას კავკასიის გაფურჩქვნის თავდებად ჩაითვლება! შენ, დაუღწეაო მგოსანო, უკვდავ ჰყავ მთელი ქართველი ერი, რომელსაც საკმარისია ახსენოს შენი სახელი, რომ დაუმტკიცოს მთელს ქვეყანას, რომ ისტორიულ-კულტუროსან და განათლებულ ქვეყნის სახელწოდებისა!

მძიმეა საქართველოს დანაკლისი, მაგრამ დაე, ინუგეშონ ჩვენმა კეთილშობილმა მეზობლებმა, რომ დიდებულ ქართველის გენიოს მხატვრულ შემოქმებით დაბნეული თესლი სამშობლო ნიადაგზე თუ მთელს კავკასიაში აღმოაცენს აცისკრებულ ნაყოფს, რომლის ნათელი მოჰყენს სიყვარულს და თავისუფლებას ესოდენ მწყურვალ ერებს!

ჩვენი საზოგადო და უწმიდესი მოვალეობაა გავკვეთ ბრწყინვალე და გზის მაჩვენებელ ვარსკვლავს, რომელზედაც ბრძანებით მიგვიითთა და ასე სანიმუშოდ, ასე კეკლუც ჰანგებით შეამკო საქართველოს უკვდავმა მგოსანმა.

და აი, ამ განშორების ეამს, როდელაც დიდებულ ნაშთს უნდა გამოვემშვიდობოთ, ჩვენ უნდა ფიცი დავდოთ, რომ მტკიცედ დავიცავთ და შევასრულებთ მის აღთქმებს, რათა უდანაშაულო ხალხთა სისხლი უბრალოდ არ დაიღვაროს, არ განდგურდეს ნაჭირნახულევი ველ მინდორი, სარჩოსაბადებელი, არ გადიბუგოს სახლები თუ სოფელქალაქი...

ბაქოს მაჰმა იანთა საქველმოქმედო საზოგადოებისა თუ კულტურულ-განათლების საზოგადოებათა სახელით „ნეშრ მოარიფ“, „ნიჯათ“, „საფა“ და „საალეთ“, აგრედვე ბაქოსა და თბილისის ქალთა საზოგ. და საქველმოქ. და განათ. სახელით ქალ. განჯისა სხვა და სხვა, გულწრფელს და უღრმეს თანაგრძნობას ვუცხადებთ მგოსნის მახლობელთ და მის საყვარელ ქართველ ერს და თანაც ვათავებ ჩემს სიტყვასა: იყოს ნება მისი! დაე, მისი სასუქვარი ფიქრები და ზრახვანი სასურველად გადაიფურჩქნოს, რათა მით უკუნითი უკუნისამდე განმტკიცებულ იქმნეს მის მიერ შექმნილი ხელთუქნარი ძეგლი, რომლის გარშემო არასოდეს არ წაიშლება კვალი მაღლიერ კავკასიის ერებისა.

სამკვლავიარო დებეები

კრასნოვოდსკში მცხოვრები მაჰმადიანთა ჯგუფი გიცხადებთ გულითად სამძიმარო მშვენიერი სა-

ქართველოს შვილის, სახალხო მგალობელის თავ. აკაკი წერეთლის დაკარგვის გამო.

ვილოცებთ მეჩეთში მისი სულის განსასვენებლად.

მაჰმადიანთა ჯგუფი.

მოხუცო! თვალ-ცრემლიანი მუხლს ვიდრეკთ შენს წმინდა ნეშთის წინ! ამ განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი, იმით და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს ძვირფას, „ნაადამყოფარ“ სამშობლოს, ცოცხალსა და განკურნებულს ვხედავთ.

გორის საეპო გიმნაზიის ქართ. მოწაფენი.

დიდებული მომღერალის დასაფლავების დღეს, შევიკრიბებით ჩვენ, კრასნოვოდსკში მცხოვრები ქართველნი სალოცავად მთელს საქართველოსთან ერთად, რათა განისვენოს დაუვიწყარ და ძვირფას აკაკი წერეთლის სულმა, რომელიც აღვიძებდა ჩვენში საუკეთესო გრძნობებს. ვღვრივთ ცხარე ცრემლებს საქართველოს ღირსეული შვილის დაკარგვის გამო.

დაე აკაკის მიერ ნაქადაგებმა იდეალებმა გაგვინათოს ცხოვრების გზა.

საზოგადოების მონდობილობით პოდპოლკოვნიკი ფირალოვი.

ჩვენ, დაბა ცხინვალის ყოველ დაწესებულებათა და საზოგადოებათა წარმომადგენელნი (ქართველ-სომეხნი) დიდადა ვსწუხვართ დიდებულ მგოსან

აკაკის დაკარგვას. ეს მწუხარება მით უფრო ორკეცდება, არ გვეღირსა გვენახა ჩვენ შორის, ჩვენის პურმარლით დავხვედროდით უდიდეს ქართველს, ჩვენც გვენახა ნათელი მისი სახე და დაგვერწმუნებინა, ჩვენი მხარეც, განურჩევლად ერთუფნებათა სხვა და სხვაობისა, მარად ყურგანახდეს ჩვენდა მის საგალობლებს, სტკებოდა, ნეტარებდა, იზრდებოდა და ამაყდებოდა, რომ ამ დაცემისა და დაკნინების დროს საქართველოს შესძლებია წარმოშობა სათაყვანო მამული შვილის! ჩვენს წმინდა მოვალეობად ჩავთვალეთ ღირსეულ მამული შვილს შეძლების დაგვარად პატივი ვცეთ, თუნდა იმით მაინც, რომ მის დაკრძალვის დღეს დაესწრენ ჩვენი წარმომადგენელნი და დამმარხველ კომიტეტს გვირგვინის ნაცვლად გადასცენ ჩვენს შორის მოკრებილი წვლილი!..*) დაე, აღსრულდეს პოეტის ზრახვანი! დაე, მისმა ჰანგებმა ნორჩ საქართველოსგან მიიღონ საუკეთესო გამოძახილი! სახელი და მზიური უკვდავება ისედაც უკვდავება შემოსილ მთა-წმიდის ახალ ქურუმს და საქართველოს სამარადისო დარაჯს აკაკის!

საზოგადოების მონდობილობით დ. კასრაძე.

*) ერთმა წარმომადგენელთაგანმა ბ. ი. ხიმშიაშვილმა უკვე გადასცა კომიტეტს 84 მან., რომელიც სახელდასულოდ შეიკრიბა დაბა ცხინვალში ქართ. ქალთა წრის შეთაურთა, წერა-კათხვის გამ. საზ. წევრთა და სასოფლო საზოგ. წარმომადგენელთა მიერ.

აკაკის დასაფლავებაზე

სამშობლო მხარეს მიაქვს კუბო ცრემლით შემკული, და ამ კუბოში ასვენია ქვეყნის ერთგული. ცა სტირის ძესა, ხალხი გლოვობს უბადლო მშობელს, ხოლო პარნასის ცხრა და ამბობს ტკბილ საგალობელს: „საუკუნოებს გადაიფრენს მისი სახელი, თვით თამთა გულში უკვდავებით შურის აღმძვრელი“.

ი. მჭედლიშვილი.




სხვა და სხვა ამბები

გერმანიის მთავარ შტაბის მოწოდება. გერმანიის მთავარ შტაბს ასეთი მოწოდებით მიმართია ლაშქარისათვის: „ჩვენ ვუახლოვდებით ვარშავას, სადაც აგერ ეს ექვსი თვეა ნემეტის სისხლი იღვრება. ჩვენმა ჯარისკაცებმა სიმამცით სასწაული მახდინეს, რამაც თვით შტურცი კი აღტაცებაში მოიყვანა. შტურცი იცის ამ ქალაქის დიადი მნიშვნელობა. ამიტომ აქ თავი მოუყარა აუარებელ ჯარს თვით კავკასიიდან და ციმბირიდან. მაგრამ ძველმოსილმა ჩვენმა მხედრობამ დიდი ხანია დაანახვა მთელს ქვეყნიერებას, რომ მის ქარიშხლისებურ იერიშებს შტური ვერ უძლებს და რომ, როგორც გულკანიდან ამხეთქილი ლაფა, ისე წაღვეს უფულისფერს, რაც კი წინ გადაუდობება. ვარშავის ადებით მთელი რმის ბედი ჩვენს საკეთილდღეოდ გადასწდება. ჩვენ განვმტკიცდებით ვისლას ორივე სანირზე და თამამად შეგვეძლება შტურს ვუკარნახოთ ჩვენთვის ხელსაურელი ზაფის ზიარობები. გერმანელმა ჯარისკაცებმა უნდა მთლად მოიკრიბონ თავიანთი სამხედრო ძალები. რათა უნდა დაჯდეს, ვარშავა უნდა აღებულ იქნეს“. („დენ“).

გერმანიის მუქარა. „Local Anzeiger“-ი შემდეგ მუქარას უთვლის ინგლისს: „მთელმა ქვეყანამ კარგად უწიეს, რომ გერმანიამ უბრალო მუქარა არ იცის. 18 თებერვალს ჩვენ შევეუვართ მსოფლიო რმის იმ ფაზაში, რომელსაც თვით შტურილი შთამომავლობაც კი ვერ დაიფიქვებს“. ეს მუქარა, როგორც შეთხვეულს მახესუნება, გამოწვეულია იმ მისალოდნულ მდგომარეობით, რომელშიაც ინგლისს ქსურს ჩაკდოს გერმანია, ე. ი. მთაშობის მთელი სახელმწიფო და აიძულოს იარაღი დაურეგინოს: გერმანიამაც მზგაუსი საშუალება იხმარა. სწორედ 18 თებერვალს მთელი ინგლისი აღუა-შე-მარტუშულად გამოაცხადა და წაღ-ქვეშა ნაგებით უწვალოდ ქლუზავს ინგლისში მიმავალ ხომადს აუ ტემს. ამით ქსურთ გერმანელებს საშობოლა განსაცდელისგან იხსნან და შეტოქეებსაც არა თუ ზარი დასტენ, თვით ზავზედაც ხელი მოაწერინონ.

კალესკენ სამზადისი. იმ დროს, როდესაც რუსეთის მხარეზე ასეთი სასტიკი იერიშებით წამოვიდნენ გერმანელები, დასავლეთ ასზარეზე ახალ-ახალ ძალებს უურიან თავს კალესკენ საბოლოო გასაღაშქრებლად. თუ შესძლეს, შემდგომ გერმანელებს ის უკანასკნელი სარკ-





ზარბაზნიდან ნასროლი პროექტორი. გერმანელების მიერ გამოგონილი საოცარი პროექტორი. ზარბაზნიდან ისერიან, ტყვია ჰაერში სკდება და ქოლგის მზგავსად ანათებს არე-მარეს.

მელი ეღებათ, საიდანაც ბეჭითი იკრიშებით ეკვეთებიან ინგლისს.

„კარლსდუეს“ მეკობრეობა. ატლანტიის ოკეანეში გერმანულთა კრეისერმა „კარლსრუემ“ 8 თებერვალს დაჭდუნა „მოტარო“, „ჭაილანდრე“, „ჭემისფერა“, „სემანი“ და რამდენიმე იალქნიანი ხომალდი. „ჭაილანდრედან“ გადმოსხეს 192 მუზღვაური და 56 მგზავრი.

ტყვეა. გენერალი სამსონოვი დიდი ფიგურა იყო იმ ჯარში, რომელმაც შირველად გაილაშქრა გერმანელების წინააღმდეგ, აღმოსავლეთ შრუსიაში. ეს გალაშქრება, როგორც ვიცით, რუსებისთვის დიდის კატასტროფით გადავიდა. გენერალი სამსონოვი, რომლის გაბედულ მოქმედებაზედ ბევრს დაბრააკობდნენ, მისმა კვლზედ განგშირული ეკულებოდათ თანამებრძოლ რუსებს და სანგებოდ კაციც კი გაგზავნეს მისი გვამის მოსაძებნად, დღეს კი აღმოჩნდა რომ გენერალი სამსონოვი სხვა რუს გენერლებთან ერთად, მაგ. შესტიჩთან, კლიუევთან, შირტოსთან და სხვ. იმყოფება საქსონიაში, კენიგშტეინის

გენერალი სამსონოვი თურმე ცოცხალი ციხეში.



მალლა, თანამედროვე ცეპელინის მოყვანილობა და ჩონჩხი; ქვემოთ, ცეპელინზე დადგმული უმავთულო ტელეფონი. ამ საოცარი სიდიდის ჰაერში მფრინავ კრეისერს გამძლეობით, ტვირთის აზიდვით თუ სიმაგრით მთელს ქვეყანაზე ცალიც არა ჰყავს. ცეპელინსა აქვს სიგარის მსგავსი მოყვანილობა, რომელსაც ალუმინის სარტყელი აქვს შემორტყმული. დაყოფილია ოთხ პატარა ოთახად. ოთახების განყოფილებაში სუმბუქ განის და წყალმბადის ბუშტებია. სულ ასეთი განყოფილება (1) რიცხვით 17-ია. ჰაერის ხომალდის ცხვირთან ორი პატარა ნავია (2), რომლითაც წყალზეც შეიძლება ცურაობა. ეს ნავები ერთმანეთთან შეერთებულია დახურული დერეფანით (3), რომ გარე ქვეყანასთან იქონიონ დამოკიდებულება; ცეპელინზე მოთავსებულია უმავთულო ტელეფონი, რომლიდანაც ამბავის მიწოდება შეიძლება მხოლოდ 120 მილ, სარტყლების გარშემო შემორტყმულია სპილენძის მავთული რომლითაც ჰაერში ჰკიდებენ ტელეგრაფს მუშაობის დროს. ეს ოთახი სულ მოშდრებულია დირიჟაბლიდან, რომ ელექტრონის ნაპერწკლებისაგან აფეთქება არ მოხდეს. უკანასკნელად გაუმჯობესებულ ცეპელინს სიგრძე აქვს 500 ფუტი და შეუძლიან 2 ტონა ტვირთი აიტანოს თანა.

რუსული პრესა სომეხთა საკითხის გამო



ამ უკანასკნელ დროს სომეხთა საკითხმა მიიპყრო ყურადღება, როგორც ადგილობრივ გაზეთებისა, ისე სატახტოსი. უეჭველია, ჩვენს მკითხველებს ესომეხთა მილიუკთვის კამათი. ამ ფაშად, „Пет. Вѣдом.“ ფურცლებზე დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო წერილი ბ-ნ კორნელისა, სადაც ჯერ განიხილავს საკითხის სიმწვავეს, ანალიზს უკეთებს სხვა და სხვა მოსაზრებას და შემდეგ ასე დასძენს:

„სომეხთა საკითხი სრულებით ახლადა წამოყენებული, ამ 30—40 წლის წინაა. რა თქმა უნდა, სერიოზულ მნიშვნელობას ვერაფერს მიაწერს მუხვიდმეტე და მეტრამეტე საუკ. იზრად რიისა და მის ამხანაგ ფართაშეტ-მინასის ხეტიანს დასაფლეთ ვერაშა. თავიანთებისაგან მტრეებული ისინა დაიხილენ უცხოეთში, ხალხ მინასმა სიკვდილის წინ მართლ-მადიდებლობა მიიღო მისკოვში 1740 წ.

სომეხთა საკითხის მორიგად გამოცხადება მართლ ხოვდა დიდს ენერჯიას და საშუალებას. ამისდა მიუხედავად მისი გადაჭრა ფრიად საძნელ საქმეს წარმო

ადგენს. ბ-ნმა მილიუკოვმა თავის მასწავლებელს მკარად გამოსთქვა, რომ ის, როგორც რუსი სახელგანთ მოღვაწე, ამ საკითხს განიხილავს, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის სარგებლობის თვალსაზრისით, თუმცა სწამს, რომ სომეხებს, როგორც უკვლავ ერს, ბუნებრივად ეჭმებათ თავიანთი საკუთარი მისწრაფება. ეს „ბუნებრივი მისწრაფება“ ბ-ნ მილიუკოვისთვის რუსთა ინტერესების თვალსაზრისით სულ ერთი არის. მაგრამ რუსეთის მეფის ტვირგინში მოსჭვივის მატარა ქვიუახა, რომელიც სისხლით და ხორციით შეწყებულა რუსეთთან. ეს განლაგთ საქარაველთ. რუსეთთან შეერთებაშდე საქარაველთ ისტორია სისხლის ასეთით არის აღბეჭდილი. შრავალი რამ განიცადა მსმალთა შესევისაგან. ამიტომ შეუძლებულია ქართველებმა არ თანაუგრძონ სომეხებს, რომ მათ თავიანთი პოლიტიკური და ეროვნული კეთილდღეობა მიაშოვონ. საქართველთ არა ერთი და რნი მაგალითი ახსავს ამგვარი კეთილი განწყობილებისა, არა ერთხელ უზრუნვია არამარწმუნეთა უდლიდან გაენთავისუფლები-



საქართველთს ღერბი


ხოს იგი. „ქართლის ცხოვრებაში“ შეხახულია ერთი შესანიშნავი გადმოცემა, რომელიც დიდად ახასიათებს ქართველობას. როდესაც კიგვიტის უღლიდან ებრაელთა განთავისუფლების ამბავმა მოაღწია საქართველომდე, ქართველები განიხარებდნენ და დიურას მაჯლობას უხდიდნენო. თავის მხრით ქართველობას არა ერთხელ უჩინია სომხები და მათი სატახტო ქალაქი მტრის ხელში, მიუცია მათთვის თავშესაფარი და თავის მცხოვრებას უფლებებს ანიჭებდა, სახასწორებდა. საინტერესოა ერთი გარემოება, რომელზედაც რატომღაც სდუმან: მე ვამბობ ქართველთა სამეფო ღერძზე. ამ ღერძის მეათხედ ნაწილში ჩართულია სომხური, მაქონს ფარანი შავი, კვირგვინისანი ღოში. (იხ. „რუსეთის სახელმწიფო ღერძი“, ენციკლ. ლექსიკონი ბრაჟ. ტ. მეცხრე, გვ. 405, სტრ. 6. ქართლ-იმერეთის მეფეთა ტიტულებზე „რუსკ. უკლ.“ 1841 წ. ტომი 3). სომხთა ღერძას მოთავსება ქართველებისაში არა ნაკლებ მნიშვნელოვანია სომხთა ტერიტორიის მოფარგვლის დროს.

ტერიტორიის საკითხი ერთი უმძიმესი საკითხთაგანია ქართველ-სომხთა ურთიერთობის განსამტკიცებლად. ამასთანავე მრავალი ნათელი ფაქტი მოგვეჩვენებს, რომ ქართველთა მეტად მგრძობიერად ეკიდებიან ამ საკითხის გადაჭრას. სახელმწიფო საბჭოს წევრმა თავ. ა. ერისთავმა „ბარგ. უკლ.“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ამიერ კავკასიის ასევე საადმინისტრაციო გადაწყვეტის პროექტი, რომელიც კავკასიის ერთ-ერთს განცეფარებაში შექმუშავებინათ. ამ პროექტის მიხედვით ზოგიერთი მაზრა, რომელიც უძველეს დროიდანვე ქართველებისად ითვლებოდა, მიაწერეს ისეთს გუბერნიებს, რომელნიც ქართველთა ერეხებას არ უთვლიდნენ და მათ ზოგადიტიკურ შემადგენლობაში არ შედიან. ამ გადაწყვეტას იმით ამართლებენ, რომ ამ მაზრებში მცხოვრებთა უმრავლესობას სომხები შეადგენენ, ამიტომ ისეთ გუბერნიებს უნდა შეუერთოთ სადაც სომხები არიანო. უნდა შევნიშნოთ, რომ მზგავსი შექანიკური გადაწყვეტა არას დროს არ მომხდარა

რუსეთის ისტორიაში. ქართველთა საზოგადოებრივი აზრი ამ პროექტს ისე უყურებს, როგორც კერძობით და უცხოელების ტავლების შედეგს, როგორც ცხადი მაუწყებელი იმისა, რომ საქართველოს ისტორიული ტერიტორია შექვევდნენ, ვინაიდან ხსენებულ მაზრებში სომხები მხოლოდ მცხოვრებნი არ არიან. მორეხანსეარში დასახლდნენ, თორემ ხსენებულ უოველთვის იგი საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენდა. და მართლაც, ხეტავ რას იტყვოდა თვითუფლი რუსი, თუ ვახანის აათრები მოათხავდნენ, რომ ვახანის გუბერნიისთვის მიუკერებინათ ეველა მოსახლდგრკ რაქები და მაზრები მხოლოდ იმიტომ, რომ იქ აათრებიცა სტხოვრებენ?

თავ. ერისთავის მიერ გამოქვეყნებული ამბავი არ უარყოფს. სხანს, პროექტი ცხოვრებასთან შეწყობილია! მაშინ როდესაც ეს ფაქტი პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთ-საქართველოს მიერ დადებულ ხელშეკრულებას. ამის ძალით საქართველო უერთდებოდა რუსეთს ერეხებისა და განჯის პროვინციებითურთ. ეს პროვინციები საქართველოს სამეფოს საზღვრებში შედიოდნენ. ერევანში სომხთა კათალიკოსის ტახტი იყო. კათალიკოსის გამწესება ხდებოდა ქართველთა მეფის ხელით. ერევანი და განჯა მეფე ერეკლე მეორეს ხარკს აძლევდა: განჯა 10,000 და ერევანი 30,000 მან. (იხ. „Грамоты и другіе истор. док., относяціеся до Грузіи“, ტ. პირ., გვ. 181). ამხანად ტრაქტატის ძალით არა თუ გადამიჯნ-გადმომიჯნის უფლებას იმეობა, არამედ თვით „ბუნებრივ სურვილსაც“ კარავითარი ადგილი არ უნდა ქქობდეს ერევანსა და განჯის გუბერნიებში. საქართველოს სამეფოში უავლად შეუწინარებელია მზგავსი რამ, ამ პროექტში ხათლად მოსტყვივის ეტვი, რომელიც ხათლად გვინვენებს პროექტის ავტორთა ხამდვილ მიზანს—*nomina sua odiosa!*

რუსულ-ქართულ ტრაქტატში სხვათაშორის მათა სებუელია ერთი კერძო ხასიათის მუხლი (მეთხუ) შე



რუსების ჯავშნიანი ავტომობილი.

დევის შინაარსით: „თუ რუსეთი შემდეგში დაიშურება იმ პრევიდენტებს, რომელნიც ოდესმე საქართველოს ეკუთვნოდნენ, მაშინ ისინი შეგლეჩ საქართველოს ფარგლებში“.

უარსის ოლქი, როგორც საქართველოს კუთვნილი, ოსმალეთის ხელიდან დაბრუნების შემდეგ ისევ საქართველოს ტერიტორიის ნაწილად უნდა აღიარებულიყო ტრაქტატის ხსენებულ მუხლის ძალით, შეუძლებელია ვისმეს „ბუნებრივი მისწრაფების“ კერძად გაყვანა. (ტ. II, წიგ. I, სტ. 109—110; ტ. II, წიგ. II, სტ. 38—39).

იქ, სადაც ლაზარაკის უფლებას, შეუძლებელია გაზიარდეთ მილიტარის ერთ ყაღბ მსჯელობას, რომელსაც ლაზარაკის ტრანზიტის, სინობსე, ერთი სიტყვით, ზღვის ნაპირზე მდებარე ქალაქებს, რომელნიც სომხებს მიაკრძა. ქ. ტრანზიტის ჩველა ისტორიულ დოკუმენტებში, როგორც თვით ბ. მილიტარის უწყის, შეგრუთა ქალაქად ითვლება. მაშასადამე, იქ ქართველთა ტერიტორიაა. ტრანზიტის ვილეთი ერთგვარად და გეოგრაფიულად ბათონის ოლქს ეკუთვნის. დღემდე ამ ქვეყნის ავან-ჩავანად ლაზები (ქართველები) ითვლებიან, რომელნიც ტრანზიტის ვილეთში უკანასკნელი 800 ათასამდე ითვლებიან.

თუ რომ გაუფრთხილები იქნება, მაშინ ზღვის ნაპირის ქალაქები ღვთის კანონთაგან და ადამიანურ სამართლის ნაბობისა და უფლების ძალითაც უნდა საქართველოს ტერიტორიას მიეკუთვნებოდნენ!

ჩვენამდინ ხმამ მოადწია, მეცნიერთა კომისია ვინმე კავკასიის მტკიცეს დახმარებით ადგენს სომხთა ტერიტორიის საზღვრებს კავკასიაში. ვფიქრობთ, ხსენებულ კომისია სამართლიანობის სახელით არ დაივიწყებს და მხედველობაში იქონიებს ზემოდ მხსენებულ ტრაქტატს...



გიორგი და გეორქა

(ამბავი დიალოგით)

I

- ალა... ჯან, გა...მარ...ჯობა!
- ღმერთმა გამარჯვებული გატაროს, ჩემო ძმაო!
- დამარცხებული და დაჩაგრული კაცისათვის გამარჯვება დიდი წყალობაა ღვთისა, ალაჯან!
- ჰოდა მოგცეს ღმერთმა ეგ თვისი წყალობა,

ბა, თუ მტერი გჩაგრავს. — შენ ჩვენებურს არა ჰგეგხარ, ჩემო ძამიავ, სადაური ხარ?

— ეჰ, ნუ მკითხავ, ალაჯან, სადაური ვარ. მეც არ ვიცი, სადაური ვარ ეხლა.

— მაინც?... ან რას იტყვი, კარგის?

— აბა რა კარგის თქმა შემოდღობს? ხომ მხედვე ცხრად მოკაკული ვარ. შენსავით რომ წელგამლილს, ჩიბუხით ხელში და პირმოძლიმარეს მხედვედე, მაშინ გამოვლოდე ჩემგან კაი ამბის გაგებას — ახლა კი რის კარგის თქმა შემოდღობს?

— ვხედავ, ძამიავ, რომ წუთისოფელს არ გაუნებიერებინარ. მაგრამ როდი უნდა შეშინდე და გაუტყდე გაჭირვებას. გულადად უნდა დაუნხვედე კარზედ მომდგარ ყოველგვარ უბედურებას. როცა კაცს გული მაგარი აქვს, მთელი ჯოჯობეთის ძალნიც რომ ამხედრდნენ მაზედ, ვერაფერს დააკლებენ.

— კაი თქმა არის, ალაჯან ეგ შენი თქმა, შენი ენით თვით სიბრძნე დაბარაკობს, მაგრამ გულიც ხომ არ არის თავისი თავის პატრონი და მბრძანებელი, თვით გულიც გარმემოებათ ემორჩილებათ და ემონებათ, და ხან ქვაბივითა სდულს იგი, ხან ხან ზღვისავითა ჰღელავს, ხან წალკოტივით ჰყვავის — ისეც მოხდება ხოლმე, რომ ქვათაც გადაიქცევა. აი ეხლა შენი გული, ალაჯან, წალკოტია და იმისთვის შენ ტუჩებზედ შეუწყვეტელი ღიმილია; ჩემი გული კი ქვაბსავითა სდულს — ეს სულ გარემოებათა წყალობით.

— გამაგებინე შე კაი კაცო, შენი ჭირი და ვარამი. კაცი კაცის წამალიაო, იქნებ შევეძლო, რომ შენ გულში აღუღებულა ქვაბი გავანელო და და შენი გულიც ჩვენ ორივემ ერთი ერთმანეთის წალკოტად გადავაქციოთ.

— ჩემთვის, ალაჯან, ისიც დიდი სიკითე იქნება, თუ ჩემ გულში აღუღებულ ქვაბს გამინელებ მე ამასაც საკმარისად ჩავთვლი.

— შენი სახელი?

— აღარც სახელი შემარჩინა მტერმა და აღარც სახრავი — ყველაფერი დავკარგე, ყველაფერი მტერმა მიისაკუთრა. მე დავრჩი ბეგანათ და ჩემი სახელიც ბეგანია.

— ნურაფერი გეფიქრება, ჩემო ძმაო, ღმერთი მოწყალეა, არასოდეს არ გასწირავს იგი თავის გაჩენილ სულდგნულს. აქ მობძანდეს ის შენი მტერი, თუ ძალი შესწევს, და მე ვაჩვენებ როგორ მიჭრის ხმალი.

— ბიჭო, აბა ამ ღვთის კაცს პური აჭამეთ-

კარგა გაუმასპინძლით — ღვთისგან მოვლენილი სტუ-
მარია. ღმერთის გამოსაცდელად ამისათვის ურგუნე-
ბია სამშობლოს დაკარგვა. ხოლო ჩვენ უნდა გა-
მოგვცადოს მითი, თუ როგორ შევიფარებთ უპატ-
რონებთ და შევითვისებთ ამ მისგან გამოგზავნილ
სამშობლო დაკარგულ ადამიანს.

II

— აბა, ჩემო ბეგან, როგორა ჰგონობ ეხლა
შენ თავსა? განა რომ მართალს გეუბნებოდ, ყვე-
ლაფერს ბოლო მოეღება მეთქი ჰხედავ, როგორ
იშლები თანდათან წელში?

— ისე როგორ გავიშლები წელში, ალაჯან,
რომ შენ სწორად მოვიყარო.

— ახლა შე დალოცვილის შვილო, უთუოდ
ჩემ სწორად უნდა მოხვიდე!

— არა, ისე სიტყვამ მოიტანა, თორემ შენ
სწორად მოყრას რა მაფიქრებინებს; ან რა მომყრის
შენ სწორად შენთან შემოხიზნულ კაცს. თუ წელში გა-
ვიშალე, გული ისევ აღუღებელი ქვაბია. ვერ დამი-
ვიწყებია სამშობლო, რომლიდგანაც გამოვიდევნე;
ვერ მომინდებია ის შეურაცხყოფა, რაც მე სამ-
შობლოში თვალთ განვიცადე, ყურით ვისმინე და
გულით ვიგრძენ.

— არა უშავს რა დრო თითონ განკურნავს
მაგ შენ წყლულებს.

— დრო არა კმრა ამისათვის, ალაჯან, გარე-
მოებაამაც ხელი უნდა შემეწყოს, რომ ჩემი გულის
დუღილი დადუმდეს. ღმერთმა მშვიდობა მოგცეს,
შეა შემეფარე შენთან, ბინა მომეცი, საზრდო-სა(კ-
ხოვრებელი არ მაკლდა შენგან; — ან რად უნდა მა-
კლდეს, ღმერთს მოუცია შენთვის სარჩო-საბადებე-
ლი მისთვის, რომ ჩემისთანა უბინაო და გაჭირე-
ბულ კაცს ჰუღუფა გაუჩინო — მაგრამ რა, ყველა
ამას მადლს კი უკარგამენ შენიანები და შენი კერ-
ძობანი და! საქმით, რომ თქვას კაცმა, კიდევაც შე-
ხმარებინა, არაფერი ჰშურთ ჩემთვის, მაგრამ სიტყვა
აქვთ მწარე; მეტად აწყლულებენ ისედაც დაწყლუ-
ლებულ ჩემი გულის იარებს. მტერს გამკლავება
უნდოდა და არა გამოქცევაო; თუ შენ ვაჟკაცი იყა-
ვი, სამშობლოსთვის თავი არ უნდა დაგენებებინაო;
იქ უნდა ჩაგელვარა სისხლი და იქვე ჩაგეყარა ძვლე-
ბიო. ბევრჯელ შავყელთებილვარ და მიფიქრია:
მოდო და წავალ ისევ საიდანაც მოვსულვარ მეთქი,
მაგრამ...

— ვინც დამარცხებას არ არის ჩვეული მაგრე
ფიქრობს, ხოლო შენ, ჩემო ბეგან რა ყურადღებას

აქცევ მათ ლაპარაკს! ილაპარაკონ და დადგენ-
შენ რა დაგაკლდება მათი ლაპარაკით?

— შენ არ გამოგიცდია, ალაჯან, გალალებუ-
ლი მტრისაგან უღონოს დაჩაგვრა და ამისათვის
ვერც იმას იგრძნობ, თუ რანაირი მწვავეა ჩემთვის
დაცინვა და აბუჩაღ აგდება.

— ფიქრი ნუ გაქვს ჩემო ბეგან! რაკი შეგი-
ფარე და ჩემ სახლში ბინა მოგეცი, შენი დაჩაგვ-
რის ნებასაც არავის მივცემ. ამის შემდეგ ვერავინ
ვერაფერს გაგიბედავს.

— ალაჯინ, თუ ბინა ყველას ერთად გვექნე-
ბა, ჩემ შეურაცხყოფას ბოლო არ მოეღება.

— მაშ გინდა სხვებს გაგაშორო?

— ოჰ, რა დიდ სიკეთეს მიზამ ალაჯან! მარ-
ტოდ რომ ვიქნები და ცუდ სიტყვას აღარ გავიგო-
ნებ, უფრო მუყაითად მოვეკიდები ჩემს საქმეს, რა-
საც მამიჩემებთ.

— შე შენი გაკეთებული საქმე არ მინდა. საქ-
მის გამკეთებლები ისეც ბევრი მყვანან. საქმის გასა-
კეთებლად არ მიგიღე შე ჩემ სახლში — მიგიღე იმის-
თვის რომ მინდა მტრისაგან დაჩაგრულ კაცს პატ-
რონობა გაგიწიო და ყოვლისფრით უზრუნველი
გყო. რა ვქნა, რა მოგიხერხო? მარანთან რომ
დარბაზია მოდი იმას მოგიჩემებ იცხოვრე იქ შენ-
თვის, თუ მარტოდ ცხოვრება გირჩევნია.

— რომ უფრო მოშორებით ვიყო, ალაჯან,
უმჯობესი იქნება ჩემთვის.

— აბა იმახედ მოშორებით სად რა გინაღე-
ლო რა ვქნა?

— თუ საწყინოდ არ მიიღებ, ალაჯან, და შე-
საძლებელი იქნება, ძველი ნასახლარი რომ გაქვს —
ის მომიჩემე თავისი ნანგრევებით. ხომ თავმინებე-
ბული და უპატრონოდ გდია. ქვას ქვაზედ მივა-
დებ, პატარა ხულას გავიკეთებ და ვიქნები ჩემთვის.
ჰამაც იქაურობას ვუპატრონებ და გავამშვენებ.

— ფეშქაშ! დიდი სიამოვნებით! პირიქით თვი-
თონ მეც დაგეხმარები და ჩაგიღვამ კაი დარბაზს.

III

— დაიდულა შენმა გულმა, ჩემო ბეგან, თუ
კიდევ ვერა? შენი სურვილი ხომ შევასრულე და
დაგასახლე საკუთრად.

— დიდულებით კი დაიდულა, ალაჯან, ჩემმა
გულმა მაგრამ ახლა ზღვასავით აღელდა. აღელვა
ჩემი გული შენმა სიტყვამ „ფეშქაშ“ ო. ჯერ არ
ვიცი დანამდვილებით — მართლა მიფეშქაშე საკუთ-
რებად შენი ძველი ნასახლკარი, თუ უმნიშვნელოდ,

ლაპარაკის მასალად იხმარე ეს სიტყვა. ხომ კარგად მოგეხსენება, ალაჯან, კაცი ფრინველი არ არის, რომ დღეს აქა ჰქონდეს ბუდე, ხვალ იქ, ზედ კიდე სხვაგან. და თუ ის შენი სიტყვა მასალად იხმარე მხოლოდ და არა ნამდვილი მნიშვნელობით, სწორედ ფრინველის მდგომარეობაში ვიქნები ჩავარდნილი და მღელვარების მეტი ჩემს გულს რაღა დარჩენია!

— ხომ არაფერს გაგდებს შენი ბუდიდგან; ვერც ვინმე შემდეგში გამოგაგდებს და რაღამ უნდა აგიღელვოს გული, რისაღა გეფიქრება?

— თუ არ მეფიქრებოდეს, ალაჯან, ჩემ ტუჩებზედაც ისეთივე განუწყვეტელი ღიმილი იქნებოდა, როგორც შენზედ.

— ოღონდ შენც გაღიმებული დაგინახო და მიფეშქაშებია შენს საკუთრებათ. ჰა, არცა ახლა გაიღიმებ!

— სიტყვას საბუთიც თან უნდა სდევდეს, ალაჯან, თორემ ცარიელი სიტყვით რა იქნება.

— საბუთიც თან მოჰყავება. ახლა?

— ახლა ისაა, ალაჯან, რომ ვიცი კეთილი კაცი ხარ და არ გეწყინება, თუ სიმართლეს გეტყვი. ხომ ჰნახე. რამოდენი შრომა დამჭირდა, შენი ნასახლარის გაწმენდასა და გასუფთავებაზე. შენი კეთილი თვალი კარგათა ჰხედავს, რამოდენი ყორეები დავაყენე ნანგრევებისა. ამ ყორეებმა დაიჭირეს მთელი სასახლე ადგილი და ჩემი ხულაც იმათშია დამალული. მეც ამ ყორეებში უნდა ვიძრომილაყო ხელიკივით, თუ მართლ ეს ნასახლარი მიფეშქაშე და თავისი გასადევარი არ გაატანე თან.

— აბა მაგაზე რა ჩიჩინი მინდა თუ მადლსა ვშვრები, მარილსაც ზედ მოვაყრი.

— მართალია, ალაჯან, ბევრი არ არის, რომ ვერ გაიმეტო, მაგრამ. რაც მე შემოფარგლული მაქვს ნასახლართან, ის იდგილი რომ სულ დაატანო ნაფეშქაშებს, ძრიელ კარგი იქნება. სულერთია შენ ტყუილად გიგდია იმოდენა ადგილი და ვერაფერსა რჩები. მე კი ან დავრგავ რასმე ან დავთესავ და მეც ვირგებ და შენ მამულსაც გავამშვენებ.

— ჩემი მამული საიდამლა იქნება, თუ შენ გიფეშქაშებ!

— ჯერ ისევ შენსას დაუძახებენ და შენი სახელი იქნება.

— ადვილია, ადვილი ჩემო ბეგან! ოღონდ შენ დაკმაყოფილდი და შენ სახეზედაც ღიმილი დამანახვე, თორემ ადგილი რამდენიც გინდა შენი ქირის სანაცვლო იყობ!

— ჯერ-ჯერობით ეგ მეყოფა და მერე როგორც ღმერთი გვაგონებს.

— ჰო, აი ეხლა მასიამოვნე ჩემო ბეგან! პირველად ეხლა ვხედავ შენ პირზედ ღიმილს, თორემ სულ გულჩათხრობილს გხედავდი აქამდის. ეს ოხე-

რი, როცა შენ გული ხალვათი გაქვს და თვალწინ კი სახე მოლუშული ვინმე გიდგა, შენე მხიარულებაც ნაძალადევად და უადგილოდ განიოდის.

— შენც ეხლა გიხდება, ალაჯან, ღიმილი რაკი შენი კეთილი კაცობით იმდენსა გეტყვი, რომ ჩემ პირისახეზედაც გამაიწვიე ღიმილი, ახლა შენც ჩემზე მოაგდე, როგორ გადაგიხადო; ისე უნდა გავამშვენებო ეს შენი ნაქონი მამული, რომ ამოდდე: რატომ უფრო მეტი არ უფეშქაშეო, თუ ასე ააყვავებდა აქაურობასაო.

IV

— ჰაჰაი, ბეგან, განა ესე მალე დაივიწყე ჩემი ამაგი?

— როგორ ალაჯან?

— სხვა ყველას რომ თავი დავანებოდთ, ინოდენა ადგილი გიფეშქაშე და ჩემეულ ადგილში მოყვანილ მწვანეშიაიც კი ფასს იღებ ჩემგან! განა საკადრისია ესა?

— რა არის აქ, ალაჯან უკადრისობა! რაც შენ მე ადგილი მიფეშქაშე ან რაც ეხლა მამულდელული გიჭირავს, შენ ხომ არ დაგყოლია დედის მუცლიდან. ვინ იცის, წინად ვის ეკუთვნოდა ან შემდეგში ვისი საკუთრება გახდება, — ეს სულ ღვთის საქმეა. მცირედი ნაწილი შენგნით დაჭერილი მამულისა ახლა ჩემზედ გადმოვიდა. უნდა ვიფიქროთ რომ ეს ღვთის ნებით მოხდა — ასე რომ ვსთქვათ. ალბად ღმერთს არა ნებავდა რომ კიდევ მუჭითად გდებულყო ეს მამული, როგორც შენ ხელში იყო და არაფერ სარგებლობას არ გაძლევდა რაც ჩემ ხელში ჩააგდო ღმერთმა, ჩემი ოფლით იმდენ სარგებლობას იძლევა, რომ მოგშორდა იმ ჰულუფის ძლევა, რასაც შენ მე მაძლევდი ღვთიდგან მოცემულ სარჩოდან ამაზედ პირიქით მადლობასაც გამოველოდი შენგნით და საყვედური კი მესმის. ახლა რა არის აქ წინააღმდეგი, რომ, რაც მე მეტად მიმაჩნია ჩემთვის და შენ კი გესაჭიროება, ჩემი ოფლით მამულში მოყვანილი და მიღებული საფასურით დაგითმო, ფულად გადავაქციო. მეც ხომ შენსავით ღმერთი მუჭითად და უშრომად არ მაძლევს სარჩო-საბადებელს.

— რომ არც შენა გაქვს, ჩემო ბეგან, დაბებრებული ხელები მუტის-მეტი მუშაობით! ისევ იმ ჩემ ხალხს არ ამუშავებ და მათი შრომით არ გაიჩინე ვველაფერი?

— ახლა, ალაჯან, მე ხომ თვითონ არ დავბარავ და დავთოხნი. ჩემი საქმე ვიცი რაც არის და კიდევაც ერთგულად ვასრულებ, კაცი ერთ წუთს არა ვშორდები მომუშავეთ გვერდიდგან, რა არის არ იცულლუტონ-მეთქი. ვამხნევებ, რომ საქმე დროზედ და რიგიანად გააკეთონ. მაშ რა არის ეს? შრომა არ არის? მე მათზე ნაკლებ ოფლსა ვღვრი? რამდენი ჩიჩინი და ვაივაგლახი უნდათ. მე

რომ ასე არ ვცდილიყავი, ხომ დღესაც უნდა გეძლია ჩემთვის ჰულუფა. ხომ ვერ გადახვიდოდი შენ სიტყვას, სიტყვის კაცი ხარ, შეგიფარებ და შეგითვისებ, როგორც ძმასაო. მეკი, გარდა იმისა, რომ მოგაშორე მეტი ხარჯი, შენგან აღებული ფულე-ბით შენთვისავე სასარგებლო საქმე უნდა მომეწყოს. მინდოდა ცოტა ცოტაობით შემედგინა თანხა, რომ ვაჭრობა დამეწყოს. გამეხსნა ერთი კაი დუქანი, გამეჩინა ყველა ნაირი შეშუდი, რომ ჰამ გული აგესრულებინა, რაც გესიამოვნებოდა, ჰამაც შორს არ მოგიხდებოდა სირბილი საჭირო რამეების შესაძენად. ამით მინდოდა გადემეხადნა შენთვის, თუ რამ გული გევალებოდა ჩემზედ. შენ კარგად იცოდე, რომ მე შენთვის ჩემ შრომას თავის დღეში არ დავზოგავ. მხოლოდ ჩემი შრომის ნაყოფი ახლაც და, თუ ვინცობა არის ღმერთი შემეწია და დუქანს გაუხსნი, მაშინაც უფასოდ რომ მოითხოვო ჩემგან აქედამა და რამდენსამე წელს ულუფას მაძლევდი და ცოტაოდენი მამული მიფეშქაშე — სად წავა? მაშინ აღარც თავნი შემრჩება ხელში და აღარც მოგება დამრჩება, რაც საჭიროა ალებ-მიცემობისა და ვაჭრობისათვის.

— ეგ რა კაი საქმე ვიფიქრია ჩემო ბეგან! დიდ ამაგს დამდებ, თუ მაგ ფიქრს განახორციელებ. მე მარტო ის არ მახარებს, რომ ყველაფერი საშოვარი და ახლო მექნება — მე მახარებს მომეჩუბულად ის ფიქრი, და იმედიცა მაქვს, რომ ჩემი ხალხიც ისწავლის შენგან ვაჭრობა — ალებ-მიცემობას და, თუ ვინცობა არის შენ აღარ ისურვე ჩვენ ქვეყანაში ცხოვრება, საქმე აღარ ვაგვიქირდება, რადგანაც ვაჭრობაში გამოცდილი ხალხი მეყოლება.

— ეგ რასაკვირვებელია მაგრე იქნება. მე დამავიწყდა და მაგაზე ვერაფერი გითხარი. კიდევ კარგი შენ თითონ მაიგონე და აფასებ იმას, თუ რა საქმე განშიძრახავს მხოლოდ მისთვის, რომ შენ გასიამოვნო.

— როგორც შენგანით განზრახული საქმე მასიამოვნებს, ისე ეგ შენი ღიმილიც ჩემო ბეგან. აბა ნულა დააგვიანებ მაგ საქმეს. ჩემ საყვედურსაც საწყინად ნუ მიიღებ ჩემო ბეგან. მეც ვხედავ ახლა, რომ შენ მართალი ხარ. შრომა ვაგიწევია, ოფლი დავიღვრია, უფლებაცა გაქვს შრომის ფასი მოითხოვო და აიღო. გთხოვ როგორც კაი მეგობარს, ჩქარა შეადგინო თანხა და უთუოდ დაარსო დუქანი.

— დუქანს კი დავაარსებ, მაგრამ დაბრკოლება დიდი მელოდება წინ — სადუქნე ალაგი არა მაქვს. ისეც ვიწრობასა ვგრძობ ჩემს ადგილზედ და სადუქნე ალაგიც რომ მოვაჭრა, რაღა დამრჩება? ან სად მოვაჭრა? ყოველი ფუნის დადგმა დაჭერილია:

აქ ეზოა, იქ ბოსტანია, იქ ვენახი. აფსუსი არ არის შეუცვალო ის ნირი და ეზბი, რაც ეხლა ჩემ სახლკარსა და მამულსა აქვს!

— შე კაი კაცო თუ იმოდენა მამული გიფეშქაშე, ერთ სადუქნე ალაგს კი ვეფარებ ვაჭრებს? შენ რომ შეახო ხელი შენს მამულს და მამულს შეუშალო, რაც ახლი აქვს, მე თვითონ არ მოგცემ ამის ნებას.

— მართალია გულკეთილი კაცი ხარ და ექვიც არა მქონდა, რომ სადუქნე ალაგს დამითნობდი, მაგრამ ჯერ ერთი ესა, რომ როგორც მე მოფიქრებული და განზრახული მაქვს, პატარა ადგილი არ დამჭირდება სადუქნეთ და ამასთანავე ყოველი ალაგიც ხომ არ გამოდგება საიმისოდ, დუქანი უნდა იყოს ძრიელ საცემ ადგილას.

— კაცო, შენ თითონ ამოიჩიე, სადაც გინდა და რამდენიც გნებავდეს, ოღონდ ეგ საქმე აღარ ჩაშალო და სისრულეში მოიყვანე.

მელანია.

(დასასრული იქნება).

რუს საზოგადოებისა და სომხების დამოკიდებ კლება

სომეხთა მიერ ატანილი განცდანი დღევანდელ ამბების გამო ამდენად არაჩვეულებრივი სერიოზულია, რომ საბოლოოდ მათი გრძნობანი უკვე ავადმყოფურ ხასიათს იღებენ. ამ ეამად ადგილობრივ სომხის კომიტეტს მოეპოვება ორი ფრიად საგულისხმიერო დოკუმენტი, ერთი გ. ხ. ჩალუბჩიანის წერილი, რომელიც ზას მიუწერია თავის მეგობარ მ. ბ. ჩელნოკოვისთვის, მოსკოვის ქალსქის თავისთვის და ამ წერილის პასუხი, რომელიც ეკუთვნის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, მოსკოვის სათათბიროს ხმოსან ნ. ბ. ტესლენკოს. რადგანაც 13 იან. მოსკოვის ქალსქის სათათბიროს გამოცხმაურა სომხების მწუხარებას და თანანაგრძნობით შეჰხვდა პროგრესისტთა წინადადებას, რომ კავკასიელ „გამოქცეულებს“ დაეხმარნონ. ამიტომ ვფიქრობთ, ჩვენს საზოგადოებისთვისაც საყურადღებო უნდა იყოს ამ წერილების შინაარსი. აი, სხვათა შორის, რასა სწერს გ. ჩალუბჩიანი ჩელნოკოვს:

„2 იანვ. 1915 წ. როსტოვი დონზე.

„ძვირფასო ძველო მეგობარო მიხეილ ვასილის ძევ! ჩემს სულში მძიმე დრამა ხდება. ეს დრამა არის ჩემი ხალხის დრამა, რომელსაც ოსმალნი ჰკლავენ და ანადგურებენ არა მარტო ოსმალეთში და სპარსეთში, სადაც მათ გადაიყვანეს თავიანთი ურდო და შურის ძიება ჩვენდამი, არამედ რუსეთშიაც კი არ გვასვენებენ ჩვენ, ქრისტიანებს და რუსების თანამოძმეებს. აწიოკების პროგრამას ჩვენ დიდი ხანია შევეჩვიეთ. მაგრამ ის რაც ეხლა ხდება—აუწერელია. მე ახლო ვდგევარ ამ დრამასთან, ჩემს ხელთ მრავალ დეპეშას გაუვლია და ერთი რამ შემიძლიან ვთქვა, რომ ის საშინელება, რომელიც გაგეგონებათ—არაფერია ჩვენს ტანჯვასთან შედარებით. სერბია, ბელგია, პოლონეთი—ობრდება—ირბევა, მაგრამ იქ ჟღერა ბრძოლის ველზეა. ჩვენ კი არა თუ გვარბევენ, არამედ სულ ერთიანად გვანადგურებენ, გვსპობენ. შეუძლებელია წარმოიდგინო ეს საშინელება, რაც ამ უამად იქ ხდება. სომეხს არ შეუძლიან ესროლოს რუს ჯარასკაცებს, რადგანაც მასში თავის უფროს ძმას ჰხედავს, თავის მფარველს, რომელსაც მთელი წლობით ელოდა რაღაცა ფატალური შემთავონებით. და აი, ეს რუსიც მოვიდა, მაშ როგორც შეუძლიან ესროლოს მას? სომეხი დალატობს ოსმალეთს იმიტომ, რომ ოსმალეთი არ ყოფილა მისი სამშობლო-დედა. იგი იმ თავითვე დედინაცვლად დაადგა თავზე. ყოველ მხრიდან წამოიშალნენ მოხალისეთა მთელი რაზმები, როდესაც ჩვენი მოხალისენი მიჰყავთ ტყვეთ, მათ ისე როდი ეპყრობიან, როგორც შეჭფერის ტყვეს, სტანჯვენ აწამებენ, ახიობენ! მიუხედავად ამისა, მოხალისეთა რიცხვი იზრდება. იგინი მოესწრაფებიან რუსეთში თვით ისეთი შორეული მხარეებიდან, როგორც არის ამერიკა, ევროპა, აზია. მათ სწამთ რუსეთის სიძლიერე, სწამთ მისი ძალის, მისი ხალხის მოწოდება, ეროვნული გენიოსობა. მაგრამ განა თქვენ როდისმე გიფიქრიათ, რომ ამ ხალხს ეჭირვება თანაგრძნობა, გულითადობა და დახმარება? ვიშ, რა კარგია მოსკოვის მხრით, რომ პოლონეთისა, ლიტველებისა და ებრაელების დასახმარებლად ერჯის გული. განა ჩვენ, ჩვენ, სომხები ნაკლებ თანაგრძნობისა შებრალების ღირსნი არა ვართ? გამოქცეულები უკვე ასიათასს აღემატებიან! ასიათასი უჭეროთ, შიშველტიტველი, ულუკმაპუროდ! ჩვენ ყოველისფერს ვლონობთ, მაგრამ ამაოდ, ჩვენ არ შეგვიძლიან ამოვამშრალოთ ესოდენ ცრემლის და მწუხარების

ზღვა. ჩვენ გვეჭირვება შველა. მოსკოვი რუსეთის გულია. მის ხელშია რუს საზოგადოებათა სიცოცხლის კამერტონი, გამოეცით ხმა. შეეცით მაგალითი რუსეთის სხვა ქალაქებს. თქვენი წელიწადი სამართლიანი იქნება. თქვენ მთინადირებთ ჩვენ წამებულს. გატანჯულ გულს... დაე, მოსკოვის სათათბირომ გაგვიხსენოს ჩვენც. დაე, მოსკოვმა ერთი ღლე გადასდოს ჩვენი თანაგრძნობისა და შეწყალებისათვის! ხომ გახსოვს დანტე როგორ ამბობს: არ არის იმაზე მეტი უბედურობა, როგორც განცდის ეამს წარსულ ბედნიერებისა და სიხარულის გახსენებაო. მე კი ვიტყვი, არ არის იმაზე უდიდესი მწუხარება, როგორც რწმენის დაკარგვა. მე ჩემი რწმენა, ჩემო ძვირფასო ძველო მეგობარო, ჯერ არ დამიკარგნია, არც შემიძლიან დაკარგო იგი, როდესაც ისეთ რუსებს ვიცნობ, როგორც შენ ხარ... ძვირფასო მეგობარო მიხეილ ვასილის ძევ! ველი შენ სიტყვას. სთქვი რამე, ის შეასუმბუქებს ჩვენს სულს, ის იხსნის ჩემსა და მრავალთა რწმენას და ამასთანავე იხსნის ჩვენი საზოგადო სამშობლოს ძვირფასი რუსეთის პატივს, რომელსაც აგერ რა ერთი ხანია ბრმა ბედის განკარგულებით ენდნენ, რისთვისაც თავის თავზე მოიღეს და გადაიტანეს მაჰმადიანთა რისხვა და შურისძიება“.

რაკილა ჩელსოკოვი მოსკოვში არ იმყოფებოდა, მის მაგიერად უპასუბა ტესლენკომ. მოვიყვანთ მისი პასუხის თავსა და ბოლოს: „ძვირფასო გრიგოლ ქრისტაფარის ძევ! გმადლობთ წერილისთვის. თქვენი ეჭვები უკვე გაქარწყლებული იქმნება. გეწამს, რომ სომხების დიადი ღვაწლი, რუსეთის საზოგადოებამაც მიიღო გულთან და შეიგნო მისი ღირსება. ასევე გათვალისწინებული გვაქვს ის უბედურებანი, რომელნიც სომხებს დაატყდათ თავზე. რა თქმა უნდა, სწრაფი დახმარებაა საჭირო... მაშ ასე, შორს ექვები და გისურვებთ ძველებურ სიმხნევებს და ენერგიას.

მოსკოვის სათათბიროს თანაგრძნობა და პროგრესისტ ხმოსანთა წინადადება, რომ სომეხ გამოქცეულებს დაეხმარნონ ბ. ჩალუბშიანის თხოვნის თანახმად, საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, რომ რუსის საზოგადოება მზად არის მათი თანაგრძნობისა და დახმარებისათვის... („Пр. Кр.“)

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.

